

## სადეზინფექციო საშუალება „BAC 80“

სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, საყოფაცხოვრებო-კომუნალური-საზოგადოებრივი მომსახურების ობიექტებზე, საგანმანათლებლო, პენიტენციალურ დაწესებულებებსა და სამხედრო ნაწილებში გამოსაყენებლად

მწარმოებელი: შპს „ბიოტექსი“, საქართველო

### 1. ზოგადი ცნობები

- 1.1. სადეზინფექციო საშუალება „BAC 80“-ის კონცენტრირებული ხსნარი არის გამჭვირვალე უფერო სითხე.  
**შემადგენლობა:** მოქმედი ნივთიერებების სახით შეიცავს მეოთხეული შენაერთების ჯგუფის ალკილდიმეთილ ბენზალკონიუმის ქლორიდს 8%, ასევე ფუნქციონალურ დანამატებს (არაიონოგენურ ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებებს და სხვ.); ხსნარის pH  $8,5 \pm 1,4$   
**ვარგისიანობის ვადა:** მწარმოებლის შეფუთვით 2 წელი, ქარხნული შეფუთვის გახსნის შემდეგ შენახვის პირობების დაცვით ინარჩუნებს მდგრადობას ვარგისიანობის ვადის ამოწურვამდე.  
წყლით განზავებული სამუშაო ხსნარი დახურულ ჭურჭელში შენახვის პირობების დაცვით ვარგისია 14 დღე. აუცილებელია სამუშაო ხსნარზე ვიზუალური დაკვირვება; ფერის ცვლილების, ამღვრევის ან ნალექის წარმოქმნის შემთხვევაში სამუშაო ხსნარი უნდა შეიცვალოს.  
პრეპარატი დაფასოებულია ქარხნულად კონცენტრირებული ხსნარის სახით პოლიეთილენის ბიდონებსა (20ლ, 5ლ) და ბოთლებში (1ლ ტევადობით) ან დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.
- 1.2. ბენზალკონიუმის ქლორიდი წარმოადგენს მეოთხეული ამონიუმის კლასის ბიოციდს, რომელსაც გამოხატული აქვს კარგი სადეზინფექციო და რეცხვის თვისებები, ხასიათდება **ბაქტერიციდული** (გრამუარყოფითი, გრამდადებითი მიკროორგანიზმების, ასევე განსაკუთრებით საშიში ინფექციების მიმართ), **ვირულიციდური** (ლიპიდმემკველი ვირუსები, მ.შ. ჰერპესის, იმუნოდეფიციტის ვირუსის (აივ), კორონავირუსების და სხვ.), **ფუნგიციდური** (*Candida albicans*, *Trichophyton spp*, ობის სოკო) და **ალგიციდური** აქტივობით.  
სადეზინფექციო საშუალება ბიოდეგრადირებადია და ეკოლოგიურად უსაფრთხოა. მწვავე ტოქსიკურობის პარამეტრების მიხედვით, კუჭში მოხვედრისას განეკუთვნება ზომიერად საშიშ ნივთიერებათა მე-3 კლასს; ინჰალაციური ზემოქმედებისას აორთქლების მიხედვით (C<sub>20</sub>) ხსნარი განეკუთვნება ნაკლებად ტოქსიკურ ნივთიერებათა მე-4 კლასს;  
სამუშაო ხსნარები 0.05% - 0.8% კონცენტრაციით („BAC 80“-ის მიხედვით) კანზე ერთჯერადი ზემოქმედებით არ ახდენს ადგილობრივ გამაღიზიანებელ მოქმედებას, 1% ან უფრო მეტი კონცენტრაციის სამუშაო ხსნარების განმეორებითი ექსპოზიციისას აღინიშნება ადგილობრივი გამაღიზიანებელი მოქმედება ხილულ ლორწოვან გარსებსა და კანის საფარზე.  
**წყლით განზავებული სამუშაო ხსნარი არ იწვევს დამუშავებული მასალის მეტალის დაჟანგვას (კოროზიას), არ ტოვებს ნადებს და ლაქებს დამუშავებულ ზედაპირებზე.**

- 1.3. სადეზინფექციო საშუალება „BAC 80“ განკუთვნილია: სამედიცინო დაწესებულებებში, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, აფთიაქებში, ლაბორატორიებში (მ.შ. კლინიკურ, მიკრობიოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ, ვირუსოლოგიურ და სხვა სადიაგნოსტიკო), საპროცედურო კაბინეტებში, სისხლის ალების, გადასხმის პუნქტებში, კვების მრეწველობის საწარმოებში, ფარმაცევტულ, კოსმეტიკურ ინდუსტრიაში, სილამაზის სალონებსა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური-საზოგადოებრივი მომსახურების ობიექტებზე, სოციალური უზრუნველყოფის (ინვალიდების, მოხუცებულთა სახლები), საგანმანათლებლო, პენიტენციალურ დაწესებულებებში, სამხედრო ნაწილებში (ყაზარმები) და სხვა დაწესებულებებში ბაქტერიული (ტუბერკულოზის ჩათვლით), ვირუსული და სოკოვანი (კანდიდოზი, დერმატოფიტოზი, ობის სიკოების) ეტიოლოგიის ინფექციების სადეზინფექციოდ:

- **ზედაპირების რეცხვა, წმენდა, დეზინფექციათვის** - სხვადასხვა ობიექტების გარე ზედაპირების (იტაკვი, კედელი, კარები და სხვ.), მყარი ავეჯის, სანიტარულ-ტექნიკური აღჭურვილობის (აბაჯანა,

ნიჟარა, უნიტაზი და სხვა), აპარატურა-დანადგარების, ხელსაწყოების, სამზარეულოსა და ლაბორატორიული ჭურჭელის (მ.შ. ერთჯერადი), სათამაშოების, პირადი ჰიგიენის საგნების, დასუფთავებისთვის საჭირო ინვენტარის სადეზინფექციოდ;

- **სადეზინფექციო ბარიერების მოსაწყობად** ყველა ტიპის ჯანდაცვის ორგანიზაციაში, საზოგადოებრივ და კომერციულ ობიექტებში, კვების მრეწველობაში, ფარმაცევტულ და კოსმეტიკურ ინდუსტრიაში, სილამაზის სალონებსა და საყოფაცხოვრებო ობიექტებში.
- **ჰაერის ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემების სადეზინფექციოდ.**
- **ნაგავის შესაგროვებელი აღჭურვილობის, ურნების, ასევე საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამზიდი ტრანსპორტის** წმენდა, რეცხვა, დეზოდორირება, დეზინფექციისთვის;
- **ყოველდღიური და გენერალური (სანიტარული) დასუფთავების ჩასატარებლად;**
- **ტრანსპორტის (სანიტარული, სატვირთო, სამგზავრო, საკვები პროდუქტების გადამზიდი),** წმენდა, რეცხვა, დეზინფექციისთვის;
- **ფეხსაცმლის (რეზინის, პლასტმასის და სხვა პოლიმერული მასალის) სადეზინფექციოდ,** სოკოვანი დაავადებების საპროფილაქტიკოდ;
- **ყოველდღიურ ყოფით ცხოვრებაში (საჭიროებისამებრ) გამოსაყენებლად.**

## **2. სხვადასხვა ობიექტების დეზინფექციისათვის საშუალება „BAC 80“ -ის სამუშაო ხსნარების მომზადება და გამოყენება**

- 2.1. **სამუშაო ხსნარი მზადდება** კონცენტრატის სასმელ წყალთან შერევით ოთახის ტემპერატურაზე.
- 2.2. დეზინფექცია ტარდება: **გაწმენდის, დაღობის, ჩაძირვისა და დასხურების მეთოდებით.**
- 2.3. **ზედაპირების დეზინფექცია:** შენობის ზედაპირების (იატაკს, კედლებს, კარებს და ა.შ.), მაგარი ავეჯის, ინტერიერის საგნების, აპარატურისა და ხელსაწყოების ზედაპირების წმენდა ხდება სამუშაო ხსნარში დასველებული ჩვრით ან დასხურების მეთოდით. დეზინფექციის დასრულების შემდეგ საჭიროა ჩატარდეს სველი წესით დასუთავება და შენობის განიავება.
- 2.4. **სატვირთო, სამგზავრო, საკვები პროდუქტების გადამზიდი ტრანსპორტის,** დამუშავებას ატარებენ დასხურების ან გაწმენდის მეთოდით სასურსათო პროდუქტების გადამზიდი ტრანსპორტის დეზინფექციის შემდეგ დამუშავებულ ზედაპირებს რეცხავენ წყლით.
- 2.5. **სანიტარულ-ტექნიკურ აღჭურვილობას** (აბაზანებს, ნიჟარებს, უნიტაზებს და სხვ.) ამუშავებენ ჯაგრისით ან წმენდენ სამუშაო ხსნარში დასველებული ჩვრით, დეზინფექციის დასრულების შემდეგ ირეცხება წყლით.
- 2.6. **პაციენტთა მოვლის საგნებს** (სუდნო, ქვესადები მუშამბა, შარდსაწვეთური, ოყნის ბუნიკი, პირადი ჰიგიენის საშუალებები და სხვა), **პირადი ჰიგიენის საშუალებებს, სათამაშოებს, რეზინისა და პოლიპროპილენის საგებს (ხალიჩებს)** სრულად ჩაუშვებენ სადეზინფექციო ხსნარში ან/და წმენდენ სამუშაო ხსნარში დასველებული ჩვრით. დასაშვებია მსხვილი სათამაშოების დამუშავება დასხურების მეთოდით. დეზინფექციის შემდეგ მათ წმენდენ ან რეცხავენ გამდინარე წყლით.
- 2.7. **ჭურჭელი:** ჭურჭელს (მ.შ. ლაბორატორიული, ერთჯერადი, სამზარეულოს აღჭურვილობა) ათავისუფლებენ ნარჩენებისაგან და ჩაყურსვით ჩაძირავენ მადეზინფიცირებელ ხსნარში 1 კომპლექტზე 2 ლ გაანგარიშებით. დიდ ჭურჭელს სამუშაო ხსნარში ათავსებენ იმგვარად, რომ საგნებს სამუშაო ხსნარი ფარავდეს არანაკლებ 1 სმ-ზე. დეზინფექციის დასრულების შემდეგ ჭურჭელს რეცხავენ გამდინარე წყლის ქვეშ.

- 2.8. **ჭურჭლის სარეცხ ნივთებს** (ჯაგრისი, ღრუბელი, და ა.შ.) ჩაყურსავენ სადეზინფექციო ხსნარში, დეზინფექციის დასრულების შემდეგ წყალს ავლებენ და აშრობენ.
- 2.9. **თეთრეულს** ალბობენ სამუშაო ხსნარში 1 კგ მშრალ თეთრეულზე 4 ლიტრის გაანგარიშებით (ტუბეკულოზის დროს - 5ლ). დეზინფექციის დასრულების შემდეგ თეთრეულს რეცხავენ და ავლებენ გამდინარე წყლით სარეცხ მანქანაში.
- 2.10. **დასუფთავებისთვის საჭირო ინვენტარს** (ჯაგრისები, ჩვრები, საფხევი და სხვ.) სრულად ჩაძირავენ ან ალბობენ სამუშაო ხსნარში. დეზინფექციის დასრულების შემდეგ მას რეცხავენ სარეცხ მანქანაში.
- 2.11. **ფეხსაცმელს** (რეზინის, პლასტმასის და სხვა პოლიმერული მასალის) ჩაძირავენ სამუშაო ხსნარში. დეზინფექციის დასრულების შემდეგ მას რეცხავენ და აშრობენ.
- 2.12. **სამედიცინო დანიშნულების საგნების დეზინფექციის** ჩატარებისას საგნებს სრულად ჩაუშვებენ სამუშაო ხსნარში. ჩაღობის (სადეზინფექციო დაყოვნების) დროს არხები და ღრუები ავსებული უნდა იყოს ხსნარით (საჰაერო საცობების გარეშე). საგნებს სამუშაო ხსნარი უნდა ფარავდეს არანაკლებ 1 სმ-ზე. დეზინფექციის დასრულების შემდეგ რეცხავენ გამდინარე წყალის ქვეშ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ არხების გამორეცხვას (შპრიცის ან ელექტროტუმბოს მეშვეობით) ისე, რომ არ დაუშვან გავლებული წყლის მოხვედრა გარეცხილ ჭურჭელზე.
- 2.13. **გენერალური დასუფთავებისა და პროფილაქტიკური დეზინფექციის** ჩასატარებლად საზოგადოებრივი კვების, კომუნალური მომსახურების ობიექტების (სასტუმრო, კინო-თეატრი, ოფისები, სამრეწველო და აგრარული ბაზრები, საზოგადოებრივი ტუალეტები, საცხოვრებელი სახლები და ა.შ.) საბავშვო და პენიტენციალური დაწესებულებების, სამხედრო ყაზარმების, სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებების, ავტოტრანსპორტისა და სხვა ობიექტების სადეზინფექციოდ გამოიყენება ბაქტერიული ინფექციის შესაბამისი რეჟიმის მიხედვით. სილამაზის სალონებში, აბანოებში, წყლის აუზებზე, სანგამტარებში სადეზინფექციოდ გამოიყენება სოკოვანი დაავადებებისას (კანდიდოზი, დერმატოფიტიები) წარმოდგენილი რეკომენდაციების მიხედვით.
- 2.14. სილამაზის სალონის, კოსმეტოლოგიური **ინსტრუმენტების და ხელსაწყოების დეზინფექციისთვის** გამოსაყენებელი სამუშაო ხსნარი შეიძლება გამოყენებულ იქნას მრავალჯერადად 14 დღის განმავლობაში. მომსახურების სფეროს ობიექტებში (სილამაზის სალონები, კოსმეტიკური და სამასაჟო სალონები და ა.შ.) ზედაპირების, აღჭურვილობის, ინსტრუმენტების, ჰაერის დეზინფექციას ატარებენ ვირუსული ან დერმატოფიტიების ინფექციების დროს.
- 2.15. **ჰაერის დეზინფექციას** ატარებენ შესაბამისი ტექნიკური დანადგარების მეშვეობით, სამუშაო ხსნარის შესხურების მეთოდით, წინასწარ ტარდება ზედაპირების დეზინფექცია (შესაბამისი ინფექციის რეჟიმის მიხედვით), ახდენენ სათავსის ჰერმეტიზებას: ხურავენ კარ-ფანჯრებს, თიშავენ ვენტილაციას. სადეზინფექციო დაყოვნების დასრულების შემდეგ სამუშაო ხსნარის ნარჩენს საჭიროების შემთხვევაში მოაცილებენ ზედაპირებიდან მშრალი ჩვრით, სათავსებს კი ანიავებენ 10-15 წუთის განმავლობაში.
- 2.16. **ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემების დეზინფექციას** ატარებენ მათი სრული გათიშვის შემდეგ ვენტილაციის დარგის ინჟინერთა ჩართვით და მათი ხელმძღვანელობით. ჰაერის ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემების პროფილაქტიკურ დეზინფექციას ატარებენ კვარტალში ერთხელ. ხსნარს ასხურებენ ჰაერგამტარების, სავენტილაციო შახტების, სავენტილაციო სისტემათა ცხაურების და ვენტილატორების ზედაპირებს;
- 2.17. **დეზობარიერის შესავსებად** გამოიყენება 1:10 ხსნარი. ჩასასხმელი ხსნარის მოცულობა დამოკიდებულია ხალიჩის ზომაზე, რომელიც მითითებულია ხალიჩის გამოყენების ინსტრუქციაში.

დეზინფექციის ობიექტების რეცხვა ხორციელდება იმ ხსნარში, რომელშიც საგნები დამუშავდა დაღობის ან ჩაძირვის მეთოდით.

ცხრილი 1.

ობიექტების დეზინფექციის რეჟიმი ბაქტერიული, ვირუსული, სოკოვანი დაბინძურების დროს

დეზინფექციის ობიექტი	კონც. ხსნ./ წყალთან შეფარდება	დაყოვნების დრო (წუთი)	დეზინფექც. მეთოდი
ზედაპირები ფართებში, მაგარი ავეჯი, სამედ. დანიშნ. საგნები, აპარატურა-დანადგარები.	1:200	30 წთ	წმენდა
სანიტარულ - ტექნიკური მოწყობილობა; ტრანსპორტი (სატვირთო, სამგზავრო, საკვები პროდ. გადამტანი ტრანსპორტი)	1:100	30 წთ	წმენდა ან მოსხურება
თეთრეული დაბინძურების გარეშე (სეკრეტით)	1:200	30 წთ	დაღობა
თეთრეული დაბინძურებული სეკრეტით	1:30	120 წთ	დაღობა
ჭურჭელი საკვების ნარჩენის გარეშე*	1:200	15 წთ	ჩაძირვა
ჭურჭელი საკვების ნარჩენით	1:50	60 წთ	ჩაძირვა
სათამაშოები	1:100	30 წთ	წმენდა, მოსხურება ან ჩაძირვა
დასუფთავებისთვის საჭირო ინვენტარი	1:30	120 წთ	ჩაძირვა (დაღობა)
ავადმყოფის მოვლის საგნები, პირადი ჰიგიენის საშუალებები	1:100	30 წთ	წმენდა ჩაძირვა

ცხრილი 2

სამუშაო ხსნარით შენობის ვენტილაციისა და ჰაერის კონდიციონერების სისტემის დეზინფექციის რეჟიმი ბაქტერიული ინფექციების დროს

დეზინფექციის ობიექტი	კონც. ხსნ / წყალთან შეფარდება	დაყოვნების დრო (წუთი)	დეზინფექც. მეთოდი
გარე ზედაპირები კონდიციონერების და ვენტილაციის (კონსტრუირებული ელემენტ.)	1:200 1:100	60 წთ 30 წთ	წმენდა ან მოსხურება
კონდიციონერის წინა პანელის გარე და შიდა ზედაპირები	1:200 1:100	60 წთ 30 წთ	წმენდა ან მოსხურება
შენობაში ვენტილაციის ჰაერგამტარი სისტემები *	1:100 1:50	60 წთ 30 წთ	აეროზოლირება ან მოსხურება **
ვენტილაციის ფილტრის სისტემები და ჰაერის კონდიციონერები	1:30	120 წთ	ჩაძირვა ან მოსხურება
ჰაერის კონდიციონერების სისტემა ჰაერის გაგრილებისა და გაწმენდის კამერა	1:200 1:100	60 წთ 30 წთ	აეროზოლირება ან მოსხურება
დასუფთავებისთვის საჭირო ინვენტარი	1:30	120 წთ	დაღობა

შენიშვნა: (\*) - ჰაერგამტარების დეზინფექცია ტარდება მხოლოდ ეპიდჩვენებების მიხედვით;

(\*\*) - დამუშავება ტარდება 1-2 მ სეგმენტებად

### **3. სამედიცინო დანიშნულების საგნების წინასასტერილიზაციო წმენდა**

- 3.1. სადეზინფექციო საშუალება გამოიყენება სამედიცინო დანიშნულების საგნების შუშის, პლასტმასის, მეტალის, მ.შ. ქირურგიული და სტომატოლოგიური ინსტრუმენტების წინასასტერილიზაციო წმენდისათვის.
- 3.2. ენდოსკოპებისა და მათი ნაკუთვნი ინსტრუმენტების წინასწარი წმენდა ტარდება არანაკლებ 18 °C ტემპერატურაზე, 1:250 სამუშაო ხსნარის გამოყენებით. დაყოვნების დრო 15 წთ.

### **4. უსაფრთხოების ზომები**

- 4.1. ყველა სამუშაო ხელის კანის დაცვისთვის ტარდება ერთჯერადი ხელთათმანებისა და პირბადის გამოყენებით.
- 4.2. მოერიდეთ საშუალების კანზე და თვალებში მოხვედრას.
- 4.3. სამუშაოთა ჩატარების დროს დაიცავთ პირადი ჰიგიენის წესები.

### **5. პირველადი დახმარების ზომები**

- 5.1. სუნთქვის ორგანოების გაღიზიანების ნიშნების გაჩენისას - დაზარალებული გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე, პირში გამოავლეთ წყალი; ხორხის დაზიანებისას - დაიცავით დუმილის რეჟიმი და მიიღეთ თბილი სოდიანი რძე და მინერალური წყალი. საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.
- 5.2. კანზე მოხვედრისას დაიბანეთ დიდი ოდენობის გამდინარე.
- 5.3. სადეზინფექციო საშუალების შემთხვევით თვალებში მოხვედრისას დაიბანეთ დიდი ოდენობით გამდინარე წყლით და ჩაიწვეთეთ თვალის წვეთები.
- 5.4. სადეზინფექციო საშუალების კუჭში მოხვედრისას - მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე წყალში გახსნილი ადსორბენტის სახით (აქტივირებული ნახშირი 10-20 აბი 1 ჭიქა წყალზე). საჭიროებისამებრ მიმართეთ ექიმს.

### **6. შენახვა და ტრანსპორტირება**

- 6.1. სადეზინფექციო საშუალება შეფუთული სახით ინახავენ დახურულ მშრალ ვენტილირებულ სასაწყობო ფართებში ტენიანობისა და მზის სხივების ზემოქმედებიდან დაცულ ადგილზე გამათბობელი მოწყობილობებიდან და ღია ცეცხლიდან მოშორებით + 1°C -დან +40 °C -მდე ტემპერატურაზე. სადეზინფექციო საშუალება უნდა ინახებოდეს ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

**მწარმოებელი:** შპს „ბიოტექსი“, თბილისი, იუმანოვის ქ N8